



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭო

სხდომის ოქმი №03

ქ. თბილისი

15 აპრილი 2013 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე, ასოცირებული პროფესორი მაკა კაჭარავა, სრული პროფესორი მანანა პაიჭაძე, ასოცირებული პროფესორი კახა კვაშილავა, ასოცირებული პროფესორი ირმა ზაქარაია, სტუდენტები ქრისტინა ჩეპურინა და ნათია მიქელაშვილი.

სხდომის თავჯდომარე: ასოცირებული პროფესორი მაკა კაჭარავა.

სხდომის მდივანი: ნინო არქანია

დღის წესრიგი:

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა და სლავური ფილოლოგიის რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების და განხილვის საკითხი.

მოისმინეს:

თქუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მ/შ. მაკა კაჭარავას ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული და ასოცირებული პროფესორების მიერ მოხდა ევროპეისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა და სლავური ფილოლოგიის რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება და მზადაა აკადემიურ საბჭოზე წარსადგენად და დასამტკიცებლად.

აზრი გამოთქვეს: სრულმა პროფესორმა მ. პაიჭაძემ, ასოცირებულმა პროფესორმა კ.კვაშილავამ, ასოცირებულმა პროფესორმა ი. ზაქარაიამ.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს ესწრებოდა აკადემიური პერსონალიდან 5 წევრი, ხოლო სტუდენტებიდან 2 წევრი. კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 7 წევრმა.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. ევროპეისტიკის საბაკალავრო და სლავური ფილოლოგიის რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული და დასრულებული ვერსიები გადაეცეს დასამტკიცებლად თჰუ აკადემიურ საბჭოს.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებგვერდზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :



დეკანის მ/შ /მ.კაჭარავა/

სხდომის მდივანი:

ნ. ვაჩაძე

ნ. არქანია